ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032513512-03
თარიღი: 15.05.2025 11:45
ვადა: 16.06.2025

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-0125135315 განცხადების თარიღი: 15.05.2025
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

საკითხის განსახილველად წარდგენა

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032513512-03
15.05.2025 : 11:45
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-0125135315**
თარიღი: **15/05/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბატონ გიორგი ტყემალაძეს,

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 14 მაისის N25.779.889 განკარგულებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი აქტის პროექტს.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 25.779.889
14 / მაისი / 2025 წ.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ბ.ა", „ე.თ" და „ე.კ" და ქვეპუნქტების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №--

2025 წლის --------- **ქ. თბილისი**

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებულ წესში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 23/12/2014წ., სარეგისტრაციო კოდი: 040110030.35.101.016060) და 22-ე მუხლს მე-9 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-10 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„10. იმ შემთხვევაში, თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ხელშეკრულების პირობას წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის (ან მის მიერ განსაზღვრული სხვა პირებისათვის) საცხოვრებელი ფართების საკუთრების უფლებით გადაცემა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია, მყიდველის სასარგებლოდ უარი თქვას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ქონების ნაწილის საკუთრებაში მიღებაზე, მყიდველის მიერ, საკუთარი ხარჯით, დარჩენილი გადასაცემი ფართის შესაბამისი ბინა-ერთეულების რემონტის (მათ შორის, ბინაში/ფართში შეყვანილი ცენტრალური კომუნიკაციების (წყალი, კანალიზაცია, ელექტროენერგია, გაზი) დგარები მრიცხველის მონტაჟის ჩათვლით) უზრუნველყოფის მიზნით, რა შემთხვევაშიც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მყიდველისთვის გადაცემული ქონების საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მყიდველის მიერ განსახორციელებელი რემონტის საერთო ღირებულებას. ამ პუნქტის მიზნებისთვის, მყიდველისათვის გადაცემული ქონების

ღირებულება განისაზღვრება არანაკლებ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან მხარეთა წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული წესით მომზადებული საექსპერტო/აუდიტორული დასკვნით დადგენილი საბაზრო ფასით, ხოლო რემონტის ღირებულება და სტანდარტი დადგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №--

2025 წლის --------- **ქ. თბილისი**

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებულ წესში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 23/12/2014წ., სარეგისტრაციო კოდი: 040110030.35.101.016060) და 22-ე მუხლს მე-9 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-10 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„10. იმ შემთხვევაში, თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ხელშეკრულების პირობას წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის (ან მის მიერ განსაზღვრული სხვა პირებისათვის) საცხოვრებელი ფართების საკუთრების უფლებით გადაცემა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია, მყიდველის სასარგებლოდ უარი თქვას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ქონების ნაწილის საკუთრებაში მიღებაზე, მყიდველის მიერ, საკუთარი ხარჯით, დარჩენილი გადასაცემი ფართის შესაბამისი ბინა-ერთეულების რემონტის (მათ შორის, ბინაში/ფართში შეყვანილი ცენტრალური კომუნიკაციების (წყალი, კანალიზაცია, ელექტროენერგია, გაზი) დგარები მრიცხველის მონტაჟის ჩათვლით) უზრუნველყოფის მიზნით, რა შემთხვევაშიც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მყიდველისთვის გადაცემული ქონების საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მყიდველის მიერ განსახორციელებელი რემონტის საერთო ღირებულებას. ამ პუნქტის მიზნებისთვის, მყიდველისათვის გადაცემული ქონების

ღირებულება განისაზღვრება არანაკლებ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან მხარეთა წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული წესით მომზადებული საექსპერტო/აუდიტორული დასკვნით დადგენილი საბაზრო ფასით, ხოლო რემონტის ღირებულება და სტანდარტი დადგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში (შემდგომში - „**დადგენილება**“). კერძოდ, მითითებული დადგენილებით დამტკიცებული წესის 22-ე მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

იმ შემთხვევაში, თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ხელშეკრულების პირობას წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის (ან მის მიერ განსაზღვრული სხვა პირებისათვის) საცხოვრებელი ფართების საკუთრების უფლებით გადაცემა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია, მყიდველის სასარგებლოდ უარი თქვას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ქონების ნაწილის საკუთრებაში მიღებაზე, მყიდველის მიერ, საკუთარი ხარჯით, დარჩენილი გადასაცემი ფართის შესაბამისი ბინა-ერთეულების რემონტის (მათ შორის, ბინაში/ფართში შეყვანილი ცენტრალური კომუნიკაციების (წყალი, კანალიზაცია, ელექტროენერგია, გაზი) დგარები მრიცხველის მონტაჟის ჩათვლით) უზრუნველყოფის მიზნით, რა შემთხვევაშიც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მყიდველისთვის გადაცემული ქონების საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მყიდველის მიერ განსახორციელებელი რემონტის საერთო ღირებულებას. ამ პუნქტის მიზნებისთვის, მყიდველისათვის გადაცემული ქონების ღირებულება განისაზღვრება არანაკლებ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან მხარეთა წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული წესით მომზადებული საექსპერტო/აუდიტორული დასკვნით დადგენილი საბაზრო ფასით, ხოლო რემონტის ღირებულება და სტანდარტი დადგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად.“

აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ახორციელებს არაერთ სოციალურ პროექტს, სადაც მუნიციპალიტეტს ნაკისრი აქვს გადასაცემი ფართისთვის საჭიროების შემთხვევაში რემონტის ჩატარების ვალდებულება. ზემოაღნიშნული უფლებამოსილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს აძლევს ფართო შესაძლებლობას,

ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახორციელოს თავისივე ქონების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების გზით და ამასთან, აღნიშნული უფლებამოსილების გაწერა დადგენილებაში, ხელს შეუწყობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი სხვადასხვა სოციალური პროექტის ეფექტურად წარმართვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში მითითებული ცვლილების შეტანას.

ბ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.